



შირაკი

SHIRAKI

www.open.ge

გამოქვეყნდა 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№32 (9.697)

5-12 სექტემბერი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

„ნიგნის სავანე“-ს ახალი სიცოცხლე



ოთხნობიანი პაუზის შემდეგ დედოფლისწყაროს მალე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ცენტრალური ბიბლიოთეკა ექნება. შენობა, რომელიც ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრში მდებარეობს, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით გარემონტდა. 4 სექტემბრის საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა დააკმაყოფილეს გამგებლის ინიციატივა და ბიბლიოთეკისთვის ავეჯის შესაძენად ადგილობრივი ბიუჯეტიდან 33 000 ლარი გამოყვეს. ამ დღევე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი ბიბლიოთეკის ახალ შენობას ენევივნენ და მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს. შენობა მთლიანად გარემონტებულია, მონესრიგებულია შიდა საკომუნიკაციო სისტემა, როგორც იქ მყოფმა თანამშრომლებმა აღნიშნეს, ინვენტარის შემოტანის შემდეგ ნიგნის ცენტრში და ბიბლიოთეკარებშიც დროებით თავშესაფარს დატოვებენ და ცენტრალური ბიბლიოთეკა ახალმოსახლეობას იხეივებს.

„ჩვენი მიზანია, მოსახლეობას ჰქონდეს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბიბლიოთეკა. მე კარგად მესმის, კარგი გარემო მნიშვნელოვანად განაპირობებს იმას, რომ მკითხველს მოუხდეს არა მხოლოდ წიგნთან მისვლა, არამედ ბიბლიოთეკაშიც, რადგან ისევე როგორც თეატრში სიარული, ესეც გარკვეული რიტუალია, რომელიც მოზარდის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ასევე

მნიშვნელოვანია, რომ ბიბლიოთეკა ალტურვილი იყოს კომპიუტერებით, რათა მკითხველს საშუალება ჰქონდეს, ბეჭდურთან ერთად ელექტრონულ წიგნებსაც გაეცნოს“- განაცხადა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

„ახალი ოფისი მასობრივი ბიბლიოთეკის სტილში გაკეთდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მკითხველს ღია დაშვება ექნება წიგნებთან, იქნება წიგნთსაცავი, კომპლექტაციის ოთახები, ასევე ოთახი სემინარებისა და შეხვედრების ჩასატარებლად, და რა თქმა უნდა, სამკითხველო დარბაზი... უნდა ითქვას, რომ ეს იქნება არა მხოლოდ ბიბლიოთეკა, არამედ საზოგადოებრივი ცენტრიც“- განაცხადა ბიბლიოთეკის დირექტორმა მანანა მაჭარაშვილმა.

შეგახსენებთ, 2010 წელს ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობა „საქართველოს ბანკმა“ იყიდა, რის შემდეგაც თანამშრომლებიც და ნიგნის ცენტრის ღია ცის ქვეშ დარჩნენ, დროებითი თავშესაფარი კი კულტურის სახლის მცირე დარბაზში ჰპოვეს. ეს მდგომარეობა ოთხი წელი გაგრძელდა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, შეიქმნა შენობა, რომლის რეაბილიტაციისა და საჭირო ინვენტარის შესაძენი თანხებიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო და 100 ათას ლარზე მეტი შეადგინა. ჩვენი ინფორმაციით, დედოფლისწყაროს „ნიგნის სავანე“ ახალმოსახლეობას ნოემბრის ბოლოს იხეივებს.

ინგა შილაშვილი

სარწყავი და სადრენაჟე სისტემების რეაბილიტაცია დაიწყო

სოფლის მეურნეობის სამინისტრო და შპს „საქართველოს მელიორაცია“ სარწყავი და სადრენაჟე სისტემების მასშტაბურ სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებენ. მიმდინარე კაპიტალური სარეაბილიტაციო პროექტების პარალელურად, წლებგანდელი სარწყავი სეზონისათვის კომპანიამ აღადგინა მელიორაციაში არსებული ირიგაციის მეთოდი - მობილური მელიორაცია. მობილური მელიორაცია გადასატანი სატუმბო სადგურების გამოყენებას გულისხმობს. მობილური მელიორაციის სამსახურის გახსნის შემდეგ, დღეისათვის მოიწინა 120

აბონენტის 200 ჰექტარი მიწის ფართობი. მობილური სატუმბო სადგურების გამოყენებით რწყვის პროცესს სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია და შპს საქართველოს მელიორაციის გენერალური დირექტორი ლევან დვალი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროში დაესწრნენ. „მობილური მელიორაციის“ გამოყენებით შესაძლებელი გახდა ისეთი სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების წყლით უზრუნველყოფა, რომელთაც წყალი სატუმბო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობის გამო შეფერხებით მიენოდებოდა. მო-

ბილური სატუმბო სადგურებით წყალუზრუნველყოფა მოხდება აგრეთვე საირიგაციო სისტემებში წყალნაკლებობის და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს. აღნიშნულ სამსახურში დღეისათვის 10 გადასატანი სატუმბო სადგური ირიცხება. სამომავლოდ იგეგმება „მობილური მელიორაციის“ სამსახურის გაფართოებას.

კახეთის რეგიონში 2012 წლიდან დღემდე დასრულდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 19 პროექტი - ირიგაცია 8 140 ჰა-ზე, დრენაჟი - 925 ჰა-ზე. შედეგად, სოფლის 75-მდე მოსახლემ სარგებელი მიიღო.



სამრავლოვანი ორთვიანი კარანტინი ამოქვეყნდა



გვ.3

შუმ ბავშვებს და მკვეთრად გამოხატული შუმ ზირებს ჰენსია 160 ლარამდე გაეწარდათ

გვ.2

მართული მიწის „მოლოდინა აოაბი“



გვ.5

რა ლაპაზი სარამაულო!..



გვ.6

შპმ ბავშვებს და მკვეთრად გამოსატყულები შპმ პირების პენსია კი 150—დან 160 ლარამდე გაიზარდა. ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის ზაზა სოფროშაძის განცხადებით, გაზრდილ პენსიას 9000-ზე მეტი ბავშვი და 24 457 მკვეთრად გამოსატყულები შპმ პირი მიიღებს.

შპმ ბავშვების პენსია 100 ლარიდან 160 ლარამდე, მკვეთრად გამოსატყულები შპმ პირების პენსია კი 150—დან 160 ლარამდე გაიზარდა. ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის ზაზა სოფროშაძის განცხადებით, გაზრდილ პენსიას 9000-ზე მეტი ბავშვი და 24 457 მკვეთრად გამოსატყულები შპმ პირი მიიღებს. მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, მთლიანობაში, საქართველოს ბიუჯეტს ეს 3 მილიონ 200 ათასი ლარი დაუჯდება.

მთავრობა მეფუტკრეობის განვითარებას იწყებს

„ჩვენ ვინყებთ ახალ პროგრამას, რაც გულისხმობს მეფუტკრეობის განვითარებას კოოპერატივების ჩამოყალიბების გზით“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა.

მეფუტკრეობის განვითარების კოოპერატივების ჩამოყალიბების, განვითარებისა და სანარმოო პროცესებში მათი მეთაველობის ჩართვის შესახებ ინფორმაცია მთავრობის წევრებს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ მიანოდა.

„მეფუტკრეობა ის დარგია, რომლის ხელშეწყობა ნულიდან გვიწევს, რადგან მორღვეულია ყველა ინფრასტრუქტურა რაც ოდესმე არსებობდა ამ მიმართულებით. პირველ რიგში დავინყებთ საფუძვლით-სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, რაც გულისხმობს მუხურში სავსე სადგურის აღდგენას. სადგური წლის ბოლომდე შევა ექსპლუატაციაში. უკვე შევიძინეთ რამდენიმე სკა ძალიან იშვიათი ქართული ფუტკრის ჯიშისა. დღეს მთავრობის სხდომაზე წარმოდგენილია მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს 164 კოოპერატივის ხელშეწყობას, მათ შორის 80 გახლავთ მალაქითიან რეგიონში“, - აღნიშნა ოთარ დანელიამ.

მთავრობის სხდომაზე წარმოდგენილი პროექტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, პროექტის ფარგლებში დაწესებული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, დაინტერესებული კოოპერატივებისთვის უზრუნველყოფს სკების შეძენას და მათ ტექნიკურ მხარდაჭერას.

დიმიტრი ქუმსიშვილი - საშუალოვადიან პერიოდში ლარის გამყარება უნდა მოხდეს

მაკროეკონომიკური პარამეტრების მიხედვით ლარი იმაზე მეტადაა გაუფასურებული, ვიდრე უნდა იყოს, - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ახალმა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა განუცხადა.

მისივე განმარტებით, წინა წელთან შედარებით, ეროვნულ ვალუტაზე 182 მილიონი დოლარით ნაკლებია წნეხი, „რაც იმას ნიშნავს, რომ არსებობს საკმაოდ დიდი ლუფტი საშუალოვადიან პერიოდში ლარის გასამყარებლად“.

„ლართან დაკავშირებით მკაფიოდ მინდა დავაფიქსირო, რომ სახელმწიფოს ყველა შტო, ერთობლივად მუშაობს და პრაქტიკულად ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს შეხვედრები და დეტალური ანალიზი. მაკროეკონომიკური პარამეტრების მიხედვით, დღეს ლარი იმაზე მეტად გვაქვს გაუფასურებული, ვიდრე უნდა იყოს. როდესაც საგადასახადო ბალანსს გავაანალიზებთ, ვნახავთ, რომ რეალურად, წინა წელთან შედარებით, დღეს მდგრადობით ეროვნულ ვალუტაზე 182 მილიონი დოლარით ნაკლებია წნეხი. რაც იმას ნიშნავს, რომ გვაქვს საკმაოდ დიდი ლუფტი იმისთვის, რომ საშუალოვადიან პერიოდში ლარი გამყარდეს“, - განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

როგორც ეკონომიკის მინისტრმა აღნიშნა, საშუალოვადიან პერიოდში ახალ წლამდე პერიოდი მოიაზრება.

„რა თქმა უნდა, ქვეყანაში, სადაც გვაქვს მცურავი სავალუტო კურსი, მერყეობები იქნება, ჩვენ გვაქვს პატარა ეკონომიკა, რომელიც არის ღია ეკონომიკა და შესაბამისად, საგარეო ფაქტორები ჩვენზე მოქმედებს. თუმცა ვფიქრობთ, რომ სწორი ეკონომიკური პოლიტიკით, საშუალოვადიან პერიოდში ლარის გამყარება უნდა მოხდეს“, - განმარტა ეკონომიკის მინისტრმა.

სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსებაზე განცხადებების მიღება დაიწყო

სოციალური პროგრამის ფარგლებში, სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მიზნით, ბაკალავრიატის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე განცხადებების მიღება დაიწყო.

როგორც განათლების სამინისტროში აცხადებენ, 2015-2016 სასწავლო წლისთვის სოციალური პროგრამისთვის გამოყოფილია 2 520 000 (ორი მილიონ ხუთას ოცი ათასი) ლარი, რომლის ფარგლებში დაფინანსდება დაახლოებით 1400-მდე სტუდენტი.

მათივე ინფორმაციით, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო დაფინანსების მოსაპოვებლად სტუდენტი განცხადებას, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, წარადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ან შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში - საგანმანათლებლო რესურსცენტრში 2015 წლის 2 ოქტომბრის ჩათვლით.

„დაფინანსდებიან 2015 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული, მაღალ-მთიანი და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონში მცხოვრები, ოკუპირებული ტერიტორიაზე მცხოვრები, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა შვილები, სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებულთა შთამომავლები, უდემდამო, მრავალშვილიანი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები, სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი და სოციალურად დაუცველი სტუდენტები.“

სოციალური პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდებიან აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე 2013 და 2014 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლებია 70 000-ზე. ასევე, დაფინანსდებიან 2010-2014 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული სტუდენტები, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები; მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოსატყულები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ან ობოლი (უდემდამო) სტუდენტები“, - აცხადებენ სამინისტროში.

მათივე ინფორმაციით, პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - <http://mes.gov.ge/content.php?id=4791&lang=geo>.

ასევე, ინფორმაცია მიღება შესაძლებელია სამინისტროს ცხელი ხაზის (2 200 220) საშუალებით.

მაია მიმინოშვილი - პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ წელს ე.წ. მეორადი ჩარიცხვები არ იქნება

პრაქტიკულად გადაწყვეტილია და წელს არ იქნება ე.წ. მეორადი ჩარიცხვები, - ამის შესახებ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა მაია მიმინოშვილმა საქართველოში აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლების რექტორებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

მაია მიმინოშვილის თქმით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ამ პოზიციას იზიარებენ უმაღლესი სასწავლებლებიც.

„ის პროცედურა რაც გამონაკლისის სახით უნდა გაკეთებულიყო, თეორიულადაც შეუძლებელია. ჩვენი ამ პოზიციის გაცნობა იყო დღევანდელ შეხვედრაზე უმაღლესი სასწავლებლების რექტორებთან. უმაღლესი სასწავლებლების რექტორები სრულად იზიარებენ ამ პოზიციას და შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრაქტიკულად გადაწყვეტილია და წელს არ იქნება ე.წ. მეორადი ჩარიცხვები“, - განაცხადა მაია მიმინოშვილმა.

კითხვაზე, თუ რატომ მოხდა შარშან მეორადი ჩარიცხვების დაშვება, მაია მიმინოშვილმა განმარტა, რომ მაშინ განათლების მინისტრს ჰქონდა გარკვეული არგუმენტი.

„არც შარშან და არც შარშანწინ ჩვენი ორგანიზაცია არ იყო მომხრე მეორადი ჩარიცხვების. თუმცა განათლების მინისტრმა მიიღო ეს გადაწყვეტილება და ამას ჰქონდა ლოგიკური საფუძველი. შარშან პირველი წელი იყო და როგორც თამარ სანიკიძემ განმარტა, აბიტურიენტებს შესაძლოა ბოლომდე არ ჰქონდათ გაცნობიერებული რა უნდა გაეკეთებინათ. თუმცა, დღესაც იგივეს ვიმეორებ, რომ შარშანაც და შარშანწინაც უსამართლოდ იყო გადაწყვეტილება მიღებული, რადგან მხოლოდ ერთი კატეგორიის აბიტურიენტების ინტერესები იქნა გათვალისწინებული“, - განაცხადა მაია მიმინოშვილმა.

მაია მიმინოშვილი ზღვარგადალახულ აბიტურიენტებს ურჩევს, შეწყვიტონ შიშობა და საქმის მოსაგვარებლად საჭიროების შემთხვევაში, მიმართონ სასამართლოს.

შინაპატიმრობით თავდაპირველად არასრულწლოვნები ისარგებლებენ

შინაპატიმრობის უზრუნველსაყოფად, სასჯელსრულების სამინისტრო 200 სამაჯურს შეიძენს. პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიბაშვილის განმარტებით, სასჯელის მოხდის ახალი ფორმის — შინაპატიმრობის განსახორციელებლად, საჭიროა სპეციალური მოწყობილობების შექმნა.

სიახლის შესახებ დეტალური ინფორმაცია მინისტრთა კაბინეტის წევრებს სასჯელსრულებისა და პრობაციის მინისტრმა კახა კახიშვილმა მიანოდა.

მისი თქმით, თავდაპირველად სამაჯურებით, რომელთა შესყიდვა ამერიკული კომპანიისგან მოხდება, არასრულწლოვანი პირები ისარგებლებენ და მათი ღირებულება 520 000 დოლარია.

„ეს იქნება ახალი ეტაპი მართლმსაჯულების სფეროში, რადგან მსგავსი მექანიზმი პირველი რეგიონში. სამაჯურების დამკვიდრება მნიშვნელოვნად შეამცირებს შემდგომში პატიმრების რაოდენობას... შინაპატიმრობა უნდა ამოქმედდეს 2015 წლის სექტემბრიდან. აქედან გამომდინარე, დავადგინეთ კომპანია, რომელიც ანარმოებს და 30 ქვეყანაში ამუშავებს ელექტრონულ სამაჯურებს შინაპატიმრობის უზრუნველსაყოფად. უკვე გვექონდა მასთან მოლაპარაკებები. აღნიშნული საკანონმდებლო ნორმის უზრუნველყოფის მიზნით თავდაპირველად გვეგმავთ შევიძინოთ 200 ერთეული შესაბამისი სამაჯური თავისი სერვერებით და მომსახურებით“, - განაცხადა კახა კახიშვილმა.

სასჯელის ახალი ფორმა საქართველოში მიმდინარე თვეში უნდა ამოქმედდეს.

აირბალონიანი ავტომანქანების ტექნიკური შემოწმების წესები შეიცვალა

მთავრობის დადგენილებით ცვლილებები შევიდა ტექნიკურ რეგლამენტში, რომელიც შეეხება ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დამონტაჟებული აირბალონების და აირბალონიანი მოწყობილობის სისტემების იდენტიფიკაციის და შემოწმების პერიოდულობის საკითხებს.

ცვლილებების შემდეგ, აირბალონების და აირბალონიანი მოწყობილობის სისტემების ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის სავალდებულო პერიოდული შეფასების ჩასატარებლად, ინსპექტირების ორგანოს უფლებამოსილმა პირმა უნდა შეამოწმოს არა მხოლოდ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დამონტაჟებული აირბალონის, არამედ ასევე ამ მოწყობილობის სისტემების შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო მისი არქონის შემთხვევაში - ჩაატაროს აირბალონის ან/და აირბალონიანი მოწყობილობის სისტემების შემოწმება ამ ტექნიკური რეგლამენტის თანახმად.

რაც შეეხება შემოწმების ვადებს, იგი განხორციელდება შემდეგი პერიოდულობით: ნახშირბადიანი ფოლადისგან ან ლითონპლასტიკისგან დამზადებული აირბალონების პერიოდული შემოწმება - 3 წელიწადში ერთხელ; ლეგირებული ფოლადისგან დამზადებული აირბალონების პერიოდული შემოწმება - 5 წელიწადში ერთხელ.

იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებლის დოკუმენტაციით არ ირკვევა აირბალონის მასალის შემადგენლობა, მისი შემოწმება სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ.

სიახლეა ისიც, რომ სავალდებულო ხდება აირბალონიანი მოწყობილობის სისტემების შემოწმებაც, რაც ასევე ყოველ 3 წელიწადში ერთხელ უნდა განხორციელდეს.

ოთარ დანელიას განცხადებით, ელექტროენერჯის ტარიფის გაძვირების გამო, ჰურის ფასის მატებაზე საუბარი ნაადრევია

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია აცხადებს, რომ თბილისში ელექტროენერჯის ტარიფის გაძვირების გამო ჰურის ფასის მატებაზე საუბარი ნაადრევია. ამის შესახებ ჟურნალისტებს ოთარ დანელიამ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა, როდესაც უპასუხა კითხვას, გამორიცხავს თუ არა ელექტროენერჯიაზე ტარიფის გაზრდის გამო ჰურის ფასის მატებას.

„ჯერ არ უნდა გავუსწოროთ მოვლენებს, ვინაიდან ეს ხვედრითი ნილი ზოგადად და კონტრობდება ელექტროენერჯის არ არის კრიტიკული, ამიტომ არსებობს სხვადასხვა სახის ბიზნესმოდელი, სხვადასხვა ტექნოლოგია. ამიტომ რთულია ამაზე ან კი ან არა ვიპასუხოთ. ჩვენ გვაქვს ძალიან ინტენსიური კომუნიკაცია და რაც გვეხელენიფება ყველაფერს გვაკეთებთ, რომ ეს არ მოხდეს“, - განაცხადა დანელიამ.

მისივე თქმით, მაქსიმალურად უწყობენ ხელს როგორც დარგს და იმ მენარმეებს, რომლებიც ანარმოებენ ჰურს.

მინისტრი აცხადებს, რომ მნიშვნელოვანია ყველა დაბრკოლება მინიმუმამდე დაიყვანოს. როგორც დანელიამ განაცხადა, სწორედ ამ მოტივით გადაავადეს ფქვილის რეგლამენტი 1-ელ იანვრამდე.

აზერბაიჯანი-საქართველოს საზღვრიდან 56 კილომეტრში 5,8 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა

აზერბაიჯანი-საქართველოს საზღვრიდან 56 კილომეტრში ძლიერი მიწისძვრა მოხდა.

ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, მიწისძვრის სიმძლავრე 5,8 მაგნიტუდა იყო, ხოლო ეპიცენტრი — აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

ბიძგები საქართველოში თბილისის დროით 8:50 საათზე დაფიქსირდა.

აზერბაიჯანში დღეს მომხდარი მიწისძვრის შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვალა. "სპუტნიკის" აზერბაიჯანის ბიუროს ცნობით, 1987 წელს დაბადებული რუჰია იბადოვა ქასთან იდგა,

როდესაც მიწისძვრა მოხდა, შედეგად იგი ჭაში ჩავარდა.

შემთხვევა სოფელ მელიკენდში მოხდა. მას ორი შვილი დარჩა.

აზერბაიჯანში მიწისძვრა დღეს მოხდა, ეპიცენტრი შექის რეგიონში იყო. მიწისძვრის სიმძლავრემ 6 მაგნიტუდა შეადგინა.

აზერბაიჯანი-საქართველოს საზღვრიდან 56 კილომეტრში მომხდარ მიწისძვრას, ამ დროის მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე რაიმე პრობლემები არ შეუქმნია.

როგორც კახეთის გუბერნატორმა, ირაკლი შიოლაშვილმა განაცხადა, ამ დროისთვის გრძელდება ინფორმაციის შეგროვება მუნიციპალიტეტებიდან, თუმცა არსებული ინფორმაციით, ბიძგებს კახეთის რეგიონში ნგრევა ან რაიმე დაზიანება არ მოჰყოლია. მისივე ინფორმაციით, კახეთში ბიძგები საგრძნობი იყო.

მიწისძვრის ბიძგების შედეგად ინფორმაცია არ შესულა არც საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში. როგორც სააგენტოს პრესსამსახურში აცხადებენ, მიწისძვრის გამო გამოძახება არც თბილისში დაფიქსირებულა.



სამრეკლოში ორთვიანი კარანტინი ამოქმედდა

ცოფის შემთხვევა დაფიქსირდა დედოფლისწყაროში. 31 აგვისტოს დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამრეკლოში ადგილობრივი მკვიდრის, რამინ ქუსიკაშვილის მსხვილფეხა პირუტყვს ცოფი ლაბორატორიულად დაუდასტურდა.

ვეტერინარულ-სანიტარული წესების მიხედვით, ცხოველის ლეში განადგურდა. შემდეგ კი ფაქტის შესახებ კახეთის გუბერნიას ეცნობა და სოფელ სამრეკლოში 2 თვიანი კარანტინი გამოცხადდა.

როგორც სურსათის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, სოფელში დეზინფექცია ჩატარდა და დაიწყო იძულებითი ვაქცინაცია დაავადების კერაში.

ასაცრელია 1500 სული ცოფის ამთვისებელი ყველა ცხოველი, აქედან დღევანდელი მდგომარეობით აცრილია 700 სული. პრევენციული ზომების გატარება კვლავაც გრძელდება.

დედოფლისწყაროს ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე ლალი ალადაშვილი გაზეთ „შირაქთან“ ამბობს, რომ დაავადებულ ცხოველთან კონტაქტში მყოფი ყველა ადამიანი დადგენილია და მათ შესაბამისი აცრები უკვე გაუკეთდა.

„პირველივე დღეს ჩატარდა მოკვლევა, მოვიძიეთ ყველა პიროვნება და დაუყოვნებლივ გაუკეთდათ აცრები. გაირკვა, რომ ასეთი სულ ცხრა ადამიანია, რომელთაც სრულიად უსასყიდლოდ ანტირაბიული მკურნალობა უტარდებათ. კურსი რამდენიმე კვირას გასტანს. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, ისინი სპეციალისტების დაკვირვების ქვეშ არიან. ცოფი საშიში ინფექციური დაავადებაა და მისი ნიშნების გამოვლენისთანავე აუცილებელია პაციენტს დაუყოვნებლივ ანტირაბიული მკურნალობა ჩაუტარდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში გადარჩენა შეუძლებელია.“ - აღნიშნავს ლალი ალადაშვილი.

დაზარალებული ქუსიკაშვილების ოჯახში აცხადებენ, რომ შესაბამისი სამსახურების ყურადღებით კმაყოფილი არიან, თუმცა აეჭვებთ ის გარემოება, რომ ძროხა წინასწარ აცრილი იყო, თუმცა ვაქცინამ არ იმოქმედა და პირუტყვი მაინც გაცოფდა.

„დღით ნახირში გარეკვამდე შევნიშნე, რომ უხასიათოდ იყო, შემდეგ მენახირემ მალევე უკან მოიყვანა, აგრესიულიაო, ძროხებს დასდევდაო. არც საჭმელს ჭამდა, არც წყალი დაუღევია. მეორე დღეს კიდევ უფრო აგრესიული გახდა, ფეხებით მინას თხრიდა, დორბლიც ჩამოუვიდა და შევშინდით, ექიმი მოვიყვანეთ, მონამულიაო გვითხრა. რადგან აგრესია მოემატა, სხვა ვეტერინარებშიც მოვიყვანეთ და მათ დაადასტურეს, რომ ცოფი ჰქონდა. ჩვენი შემოსავლის წყარო საქონელია, კმაყოფილი ვართ სამსახურების ყურადღებით, ყველა და ყველაფერი აცრეს. მაგრამ ვერაფერ ვერ მიპასუხა კითხვაზე, რატომ გაცოფდა ძროხა, რომელიც რამდენიმე თვის წინ აცვრიო. ამის შესახებ ყველას ვეკითხები და ნორმალურ პასუხს ვერავინ გვეუბნება. არადა, წესით, ვაქცინას ერთი წლის განმავლობაში უნდა დავცვა. ასე ამბობენ, შესაძლოა იმუნიტეტი

ვერ გამოიმუშავაო. სამედიცინო გამოცდილება მაქვს, ლაბორანტად ვმუშაობდი და ასეთ დროს საქონელს ძირითადად მე ვეხმარები ხოლმე, აცრებსაც თავად ვუკეთებ. ამჯერად მეგონა რალაც გადავალა და პირში ხელი ჩაუყვავი, ამ დროს ხელზე ღია ჭრილობები მივიღე. ძალიან გაკვირვებული ვარ, აცრა ჩატარებული გვექონდა და იმედინად ვიყავი, თუმცა აღმოჩნდა, რომ აცრამ ვერ უშველა. ეს ძროხა მაკედ იყო და ასე მოგვიკვდა, ძალიან ვიზარალები და მის ანაზღაურებაზე არავინ ფიქრობს, - ამბობს ნატო ქუსიკაშვილი.

სოფლის მაცხოვრებლები და მენახირეები ჩვენთან საუბრისას ადასტურებენ, რომ სოფელში ყველა ცხოველი აიცრა, მათ შორის ცხვრები, ძაღლები და კატები. ადგილობრივები ამბობენ, რომ სოფელმა რძისა და რძის პროდუქტების რეალიზებაზე შეზღუდვები არ არის. მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარე ბექა გონაშვილი კი მიიჩნევს, რომ ეს პროცესი კიდევ უფრო მკაცრად უნდა გაკონტროლდეს. სხვათაშორის, გაზეთ „შირაქის“ მიერ სხვა უბნებში გამოკითხული მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არაფერი იცოდა იმის შესახებ, რომ სოფელში კარანტინი მოქმედებს.

ილია მარტყოფლიშვილი



ლია წერილი „შ.პ.ს.-2007“ -ის დირექტორს ღვით ღულაშვილს!

ბატონო დავით, იმის გამო, რომ თქვენ, რა ხანია, ჩვენს სატელეფონო ზარებსაც აღარ პასუხობთ, იძულებული ვართ, გაზეთის ფურცლებიდან მოგმართოთ. იმედს ვიტოვებთ, თქვენამდე მოვა ეს წერილი.

ვიცი, რომ ჩვენი, ევდომილის ქუჩის და მისი შესახვევების პრობლემა, თქვენთვის ნაცნობია, მაგრამ მაინც შეგახსენებთ: ეს ქუჩა და მისი ოთხივე შესახვევი მჭიდროდა დასახლებულია. მას მერე, რაც შპს „სერვისი-2007“-ს ქალაქში საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის კომფორტული საშუალება მიეცა და სპეციალური ბუნკერები დადგა (ზოგან თავსახურავით, ზოგან უთავსახურავოდ) ჩვენს ქუჩას სამი თავიანთი ბუნკერი ემსახურებოდა და, თითქმის ისიც არ იყო საკმარისი. ქუჩის შუაში მდგარი ბუნკერი გაზაფხულის პირობებში, იმ მიზეზით, რომ ძირი და გვერდები გამოალბა, შესაკეთებლად წაიღეთ. რამდენიმე თვის შემდეგ, როგორც იქნა, უკვე დაკურებული და გამაგრებული, თავის ადგილზე დააბრუნეთ, მაგრამ სულ ცოტა ხანში ისევ აიღეთ. ჩვენ არ გვინტერესებს და არც ვკითხულობთ მიზეზს, რატომ უცვალეთ ადგილი. ის ხან II შესახვევში გადაიტანეთ, სადაც სპეცმანქანა სივინროვის გამო მის დაცლას ვერ ახერხებდა, ხან ქუჩის ქვემოთ ჩაიტანეთ და ბოლოს სულ წაიღეთ. ჩვენი ტელეფონით დაგიკავშირდით და გთხოვთ, თუ თავლია ბუნკერი გარშემო ვინმეს აუტანლად აწუხებს, იქნებ სახურავიანი ბუნკერი დაგვიდგათ, ჩვენთვისაც კარგი იქნება და მაღლიერი დაგვარჩიბითო. თქვენ გვიპასუხეთ: - თავსახურიანი ბუნკერები არ გვაქვს და თქვენს ბუნკერს, რამდენიმე დღეში, თავის ადგილზე დავაბრუნებთო. მას მერე ორი თვე გავიდა. თქვენ დაივიწყეთ დანაპირები და ზაფხულის მძიმე დღეებში ეს ქუჩა,

თავისი შესახვევებით, მხოლოდ ორი ბუნკერის ამარა დატოვეთ. ალბათ დაგვემონებოთ თქვენი მძღოლები და მუშები, რომ ბუნკერი, რომელიც ევდომილის ქუჩის 4-ე შესახვევთან დგას და, სულ მცირე, 25 მრავალსულიანი ოჯახს ემსახურება, მუდმივად გადავსებულია და გარშემოც უხვადაა ნაგავი ტომრებითა და პარკებით. ჩვენი გასაჭირი ქვითრების დამტარებელ თქვენს ოპერატორსაც დავაბარეთ თქვენთან, რადგან თქვენ ჩვენს ზარებს, დიდი ხანია, აღარ პასუხობთ. არც ამას მოჰყვება რეაგირება თქვენი მხრიდან. ამიტომ, იძულებული ვართ, გაზეთიდან მოგმართოთ: დაგვიბრუნეთ, ბატონო, ჩვენი კუთვნილი ბუნკერი. არ გვაქვს პრეტენზია მისი ძველ ადგილზე დადგმის, რადგან არ გვინდა უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენოთ თქვენ და არც ჩვენ გვინდა, ცუდი მეზობლის სახელი გვინოდოს ვინმემ.

ამიტომ, გთხოვთ, ის ბუნკერი გვერდზე მოუდგათ IV შესახვევთან მდგომ ბუნკერს, რომ ნაგავი დაბლა აღარ დავაქურთოთ. თქვენდამი პიროვნული პატივისცემის მიუხედავად, გეტყვით, რომ თქვენი სამსახური არც თუ გამართულად მუშაობს. იქნებ ცოტა მეტი მოინდომოთ, თქვენ ხალხს ემსახურებით და ფინანსდებით ხალხის მიერ ჯიბიდან გადახდილი გადასახადებით და ხალხის მიერ შევსებული მუნიციპალური ბიუჯეტით. ვფიქრობთ, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმაც მეტი კონტროლი უნდა განახორციელონ სამსახურზე, რომლის ფინანსურ უზრუნველყოფასაც ბიუჯეტიდან ახდენს. იმედს ვიტოვებთ,

ჩვენი თხოვნა კვლავაც არ დარჩება ხმად მალაღებლისა უდაბნოსა შინა.

პატივისცემით, ქ. დედოფლისწყაროს ევდომილის ქუჩის და მისი შესახვევის მცხოვრებლები.



ქართული მიწის "ეომლოდინე პოეტი"



ეს მის პოეზიასაც ეტყობა - გიგაურის ჟანრობრივი თვალსაზრისით მრავალფეროვან შემოქმედებაში პატრიოტული ლირიკა სჭარბობს. სწორედ ფიზიკური სიშორის გამო, მუდამ იმაზე ფიქრი სტანჯავდა, რომ მამულისთვის ბოლომდე ვერ იხარჯებოდა:

„გწუხვარ, რომ მამულს ცუდად ვარ- გივარ, ჩემი ტკივილი ზღვაში წვეთია, ზიჩქურ სამყაროს და- ვუკარგავარ, რომ დამეგები თეთრად მეთაი“.

პოეტი თამაზ გიგაური. დაიბადა და გაიზარდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებაში. მრავალი წლის განმავლობაში მოუწინა სამშობლოდან შორს, უკრაინის ქალაქ ტორეზში ცხოვრება, ამიტომაც, მის პოეზიას მშობლიურ მხარეში ნაკლებად იცნობენ. ფესვებს მონყვეტილი პატრიოტის „მომლოდინე სულს“ საქართველოზე ფიქრი არ შეუწყვეტია.

თამაზ გიგაური 2015 წლის აგვისტოში გარდაიცვალა. 55 წლის ასაკში გაჩერდა გული, რომელიც „სიცოცხლის ემხითა და სიყვარულით“ ძვერდა. აღმოსავლეთ უკრაინაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, მისი ნეშტის სამშობლოში გადმოსვენება, ჯერ-ჯერობით, ვერ მოხერხდა...

წათისოვანი

ვუძღვნი მამის წმინდა ხსოვნას მისი ლოგიკით დანერგულ ლექსს.

ცას წავე, ქვეყანას მოვე, ვერ დაგვიწვეთ მაინცა, ოხერი წუთისოვანი ფილასავით დაიქცა. ქარი ვიამბობთ აშარი, მე ვერ შევძელი რაიცა, რა იქნებოდა, საწუთროვ, რომ დაცდებოდა: დაიცა!.. არ თქვი, რა დამაუფლებდა, ზეცამ სუღარა ჩაიცვა, აბორკებული სამყარო ცუდიც არის და კაიცა, ჩემი აქოფინის დასტური- გმნობა-განძვივთ ვაიცა, გადავიარე გზაწერილი, ასე გადივლი სხვაიცა, საწუთრო წელით თანსა ჰვავს, ვაი, რა უცებ დაიქცა... ვერ დავიოკე წუთოვანი, ვერ დავაძწურე სხვაიცა.

ვერ შევძელი სიკეთის ქმნა, ბორცების-შით უფრო,

გულში მაინც სიბო ღვივის, რაც არ უნდა ვიქუფრო. გზები გზებით იფანტება, რას გვიმზადებს საწუთრო? უარის თქმაც რომ გაბედო, უნდა მივინსაკუთრო. ასეთია განაჩენი უფლისა და განგების, სხვა რა გითხრა, დანარჩენი არის საქმე გავების.

სოკოვან დიმილი სევდას ბადებს და გულში აჩენს იარას, სოკოვან დიმილსაც იყენებენ- როგორც იარაღს.

ნუ ამწარტანობ! შენ კი არა, - მშენებანს შეგტრფი, რომელიც შენი საკუთრებაა.

როცა ღრუბლიდან ქარიშხლიან ველს დაათოვს, მეც თეთრ სამოსში გავესხვი. დამეძინება...

ბორცისთვის მსხვილები ქვრივლები, დალატისთვის სიკვდილია განაჩენი. სიყვარული? - სიყვარულმა თვითონ იცის, მე ნუ... თვითონ ლექსებს ჰკითხეთ დანარჩენი.

ჩემი გზებით არ მივლია, სხვის გზა-ბილიკს ვთვალავდი, ჩემი ღელავს არ ეოფილა თურმე სხვისით ვლელავდი... სმა არ მქონდა, საგანგამოდ თიხისის წარებს ვრეკავდი, ვიმსწროდი მათთან ერთად. სათვალავში ვის ვვადი, როგორც ბავშვი ზანაწინა, ბედს სელჩაბშით დავუვადი, განაფხულზე მოვედი და ნაქერით გაუთვადი.

გარეულ უკაცრიელ კუნძულზე დამსხვრეული ნაწილი ვარ გემის, ველოდები უფლის კვერთხს და კურთხევას, კვლავ მკონია, გაშლილი ზღვა მელის.

ნინო ხარატიშვილი საუკუნებზე, „რომელმაც ყველას უღალატა“

(მეოთხე გვერდიდან)

მოვლენა, რომელმაც, ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირის ისტორიის ბოლო თავი დაასრულა და აღმოსავლეთ ევროპის ისტორიის წერა დაიწყო. მე ვფიქრობ, ეს აზრი მცდარია, საბჭოთა კავშირი კი დაიხარა და ბევრი რამ ქვეშაც მოიყოლა, მაგრამ საბჭოთა დარჩა, რომელზეც თითქოს ახალი ცხოვრების შენება დაიწყეთ. საბჭოთაობამ მრავალი ადამიანის გონებაში, შეგონებაში, მისწრაფებებში თუ ქმედებებში, ჩვენს თითქოსდა ახალ ეპოქაში, სახე-შეცვლილი არსებობა განაგრძო. ჩვენს საზოგადოებას კოლექტიურად არაფერი გადაუფასებია, შეცდომები არ გვიღიარებია, მაშინვე მსხვერპლის როლი მოვირგეთ. ეს კი, უპირველესად, იმაში გამოჩნდა, რომ, ბოლო 25 წელია, ვერ მოვახერხეთ, ერთობლივად ჩამოგვეყალიბებინა, როგორ ქვეყანაში გვსურს ცხოვრება, რას ნიშნავს თავისუფლება, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, ამდენი ხანია, ჩვენი აზროვნებიდან შესიანიზმი ვერ აღმოფხვრით... ბოლო წლებში ეს ბევრ რამეზე მაფიქრებდა, ვხვდებოდი, რომ ძალიან ბევრი რამ არ ვიცოდი, ქართულად თითქმის არ არსებობდა მასალა, რომელიც ამ დეფიციტს შემივსებდა.

ჩვენ კარგი მაგალითი შეგვიძლია ავიღოთ გერმანელებისგან საკუთარი შეცდომების, ისტორიის, პრობლემების აღიარების, გადაფასებისა და კრიტიკულობის თვალსაზრისით. რომანის ნაკითხვის მერე ბევრი გერმანელი მკითხველისგან მოვისმინე, რამდენი რამ არ გვცოდნია, როგორ ინფორმაციულ ვაკუუმში ვყოფილვართო. ყოველთვის მარცხდა დასავლეთ გერმანიაში არსებული დეფიციტი აღმოსავლეთ ევროპასა და განსაკუთრებით, რკინის ფარდის მიღმა სამყაროსთან დაკავშირებით. ინტერესი არ აკლიათ, თუმცა მაინც ვფიქრობ, რომ ყოფილი საბჭოთა ქვეყნების უმეტესობა რატომღაც თავისგან ძალიან შორს წარმოედგინათ და ამიტომაც დიდად არ ინუხებდნენ თავს ინფორმაციის მოძიებით. ამჟამად კი, უკრაინაში სულ ბოლოხანს მომხდარის გამო, საერთოდ რუსეთის, როგორცთქმის, წინაწამონევამ, ეს ინტერესი გაამძა-

ფრა. ამას კი, ვფიქრობ, მოჰყვება დიფერენცირება, რომ ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანა ერთსა და იმავე პრიზმაში აღარ გაატარონ. ნინო, ამდღეებში დაბრუნდით ფრანკფურტიდან, სადაც რომანი წარადგინეთ. როგორი იყო გამოხმაურება? ფრანკფურტის ბაზრობა დიდი გამარჯვება იყო მთელი ჩემი გამოცემლობისთვის. დიდი ეფორია, დიდი ინტერესი, მრავალი ღონისძიება, ინტერვიუები, შეიძლება ითქვას, სუთ დღე-ღამეს გრძელდებოდა შეხვედრები და საუბრები წიგნის გარშემო. უზომოდ გახარებული ვარ და მაღლობელიც, ასეთ ყურადღებას და ინტერესს ნამდვილად არ ველოდი. ბაზრობამდეც მოულოდნელად დიდი გამოხმაურება ჰქონდა და ეს გრძელდება. ყველა მნიშვნელოვანმა ბეჭდურმა მედიამ, რადიო და ტელევიზიამ გააშუქა ან რეცენზია მიუძღვნა. მაგ., „შპიგელმა“ წლის ყველაზე მნიშვნელოვან წიგნად დაასახელა, ხოლო ჟღ-მა აღნიშნა, ამ რომანით ავტორმა ევროპელებს შეგვახსენა და დაგვიბრუნა ჩვენი ფასეულობები. შტადელუტს-ცჰე-კი წერდა, რომ საჩუქარია დასავლეთ ევროპისათვის. საოცრად ემოციურად მიზიარებენ შთაბეჭდილებებს მკითხველები, რაც ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია.

ალბათ უცნაურია ასეთი რამ ჰკითხო ავტორს, მაგრამ, მაინც, თქვენ რას ფიქრობთ, როგორ მოახერხეთ მკითხველის დაინტერესება, გერმანული ლიტერატურის ბაზარს ხომ საკმაოდ მომთხოვნი, მკაცრი მკითხველის დაკმაყოფილება შეუძლია?

ობიექტური ვერ ვიქნები... მხოლოდ მკითხველისა და რეცენზენტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები შემიძლია გავიმეორო. ძალიან დადებითად აღინიშნა რომანის ემოციურობა, პოეტური, ვიზუალური ენა, დრამატულობა, სტრუქტურა; აღნიშნავენ ასევე სისასტიკისა და ბოროტების გამოვლენის თავისუფლად აღწერას, პერსონაჟების რეალურობას, რომელიც ეკრანზე ნახავითაა და ა.შ. ამას ალბათ ზემოთაღნიშნული ინტერესიც ემატება, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის მიმართ თანდათან იზრდება.

გერმანიაში ბოლო წლებში

გამოჩნდნენ უცხოური წარმოშობის წარმატებული მწერლები, რომლებიც გერმანულად წერენ. ამ კონტექსტში შეიძლება ვილაპარაკოთ რაიმე ლიტერატურულ მოვლენას ან მიმდინარეობაზე? ცნებაც კი არსებობს: „არაგერმანული ავტორების გერმანულენოვანი ლიტერატურა“.

ნამდვილად საინტერესო მოვლენაა, რომ თანამედროვე ლიტერატურის ახალი თაობის დიდი ნაწილი არაგერმანულია წარმოშობით, მაგრამ გერმანულად წერს. ეს დრომ, გლობალიზაციამ, 90-იან წლების მოვლენებმა მოიტანა. ეს თაობა ან აქ დაიბადა, ან ბავშვობაში ჩამოვიდა გერმანიაში, ენა შეისწავლა და ამ ენასა და კულტურაში ახალი თემები და პერსპექტივები შემოიტანა, აქაურ კულტურას შეერია, გაამდიდრა. დიდა ინტერესი ამ თაობის და ამ სიახლეთა მიმართ, თუმცა ამ თემზე ხშირად დებატებიც იმართება, მაგ., დაახლოებით ექვსი თვის წინ, ერთმა გერმანელმა ავტორმა პრესაში დებატები წამოიწყო იმის შესახებ, თუ რაზე უნდა წერდნენ თანამედროვე ავტორები, განსაკუთრებით - არაგერმანელები, უფრო საინტერესოა ბოსნიელმა ბოსნიაზე და რუსმა რუსეთზე წეროს, ვიდრე ბოსნიელმა, მაგ., გერმანიაზე. ამას დიდი აღმფრთხილება მოჰყვა. ბევრი ავტორი, მათ შორის, არაგერმანელებიც, გამოეხმაურნენ და აღნიშნავენ, რომ ეს უაზრობაა, რომ ყველა ავტორს აქვს უფლება წეროს იმაზე, რაზეც უნდა, ოღონდ კი კარგი ლიტერატურა შექმნას.

როგორ გრძობს თავს ადა-

მიანი, რომელიც ერთ სამყაროში დაიბადა და წარმატებას სხვაში მიაღწია, თავს რომელ ტრადიციას მიაკუთვნებს? უცხოელი მკითხველი ალბათ ცდილობს საქართველო თქვენს სახელთან გააიგივოს.

ორივეს. ჩემთვის ლიტერატურული ენა გერმანულია. ქართველი ვარ და ქართველად დავრჩები, თუმცა თავს უფრო მეტად კოსმოპოლიტად აღვიქვამ. ყოველგვარი ნაციონალიზმი და არაადეკვატური პატრიოტიზმი ჩემთვის უცხოა. ასეთ აზროვნებას კარგი არაფერი მოაქვს. ყველა კულტურას აქვს ბევრი კარგი და ბევრიც ცუდი, როგორც ყველა ქვეყანასა და ერს. ჩემს შემთხვევაში, ამ ორი ქვეყნის ნაზავი უფრო დადებით მხარეებს ვხედავ. ორივე კულტურა ჩემია, ორივე ახლოსაა და ვცდილობ მათი უკეთესი ნაწილი ცხოვრებაშიც გამოვიყენო და ლიტერატურაშიც.

...რალაც მხრივ, ალბათ, ასეა - გინდა თუ არა, წარმოადგენ იმ კულტურისა და ქვეყნის ნაწილს, რომელიც შენია. გამიხარდება, თუ შევძლებ საქართველოსა და ჩვენი კულტურის მიმართ ინტერესისა და შეცნობის სურვილის გაღვივებას. პრესაში ხშირად აღნიშნავენ, რომ ეს „საქართველოს ეკოსია“. თუმცა, ცხადია, რომანი არც მხოლოდ ქართველი მკითხველისთვის დამინერია და არც მხოლოდ გერმანელებისთვის. კარგი ლიტერატურა - მე ასე მნამს - გლობალური უნდა იყოს. ადამიანი ყველგან ადამიანია...

გარეგნულად ძალიან წარმატებული ადამიანი ჩანხართ,

ნიჭი, რომელსაც მუდმივად ავიტარებთ, აღიარება (არამხოლოდ ლიტერატურულ, თეატრალურ სამყაროშიც), წარმატება... ეს პორტრეტი რამდენად შეესაბამება თქვენს შინაგან შეგრძობას? წარმატება ძალიან სასიამოვნო და მნიშვნელოვანი რამ არის განუყოფელი შრომის დასაფასებლად, მაგრამ ვცდილობ, ამ ყველაფერს შორიდან შევხედო. ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, რომელიც ამჟამად ბედნიერია იმით, რასაც აკეთებს, მაგრამ, რა თქმა უნდა, მეც, როგორც ბევრ ხელოვანს, მახასიათებს მერყეობა, ეჭვი საკუთარი შესაძლებლობების მიმართ, თავში ათასი კითხვა მიტრიალებს. ეს ყველაფერი რალაც დოზით საჭირო და უცვლელად უნდა იყოს, რომ ცნობისმოყვარე ვარ, სულ რალაც მაინტერესებს, ძიება მიყვარს, მიტოვებს იმედს, რომ კიდევ ბევრ თემას შევეჭიდები და განვავტობ ბიძის კეთებას, რაც ასე ძალიან მიყვარს. მე მჯერა თავდაუზოგავი შრომის, საყვარელი საქმის ერთგულებისა, მჯერა ლიტერატურისა და ხელოვნების ძალისა და ვცდილობ, შეძლებისდაგვარად ამას ვემსახურო.

საქართველოში ბევრი ადამიანი - განსაკუთრებით პირველი მილწული მიზნის შემდეგ - იყინება, კარგავს პროდუქტიულობას და წარსულით სულდამგულობს. საბედნიეროდ, გერმანია მოსვენების საშუალებას გიკარგავს. აქ მუდამ საქმე უნდა აკეთო, გაჩერების საშუალებას არაფერი და არაფერი მოგცემს, ეს ძალიან მნიშვნელოვანია ყველასთვის, განსაკუთრებით კი - ხელოვანისთვის.



რ ა ლ ა მ ა ზ ი ხ ა რ , მ ა მ უ ლ ო ! . .

ჟინჟულიანი, უგემური ამინდი გამოვიდა იმ შაბათ დილას დედოფლისწყაროში. ჩემი გული კი ამინდს არ ემორჩილება და სიხარულით ფეთქავს: - დღეს ჩემი ნანატრი შვილიშვილი, ჩემი პატარა გიორგი ქრისტიანდება. ნათლობა ხაშურ-სურამის ეპარქიაში მეუფე სვიმეონის და დედა ნეონილას ხელდასმით გაიმართება. საერო ნათლები კი ილიკო პოპიაშვილი და ლელა მელია იქნებიან. ვლელავ, როგორ ვიმგზავრებთ სურამამდე, როგორ ჩაივლის ცერემონია. თბილისში წვიმამ უკვე გადაიღო. ახლანდენივარი, უკვე გადაწკრილებული ქართლის გზა კი ევროპულ

მრავალფეროვნება და ინდივიდუალიზმი აოცებს არა მხოლოდ უცხოელ ტურისტებს, რომელთათვისაც ეს ყველაფერი ეგზოტიკაა, არამედ ჩვენც, ქართველებსაც. მერე იწყება იმერეთი, მთის ფერდობების სიმწვანეში ჩაქარგული გაღმამდამოღმა მდგარი შენობის სახურავები და მიმდებარედ ხელისგულისოდენა სიმინდის ყანები უკვე შეყვითლებულა, ჰავა თანდათან რბილდება. ნაქერალას ულელტეხილიდან ტყიბულის წყალსაცავი მოჩანს და შიში გიპყრობს: ღმერთმა ნუ ქნას, ეს ოდესმე ნაპირს გადმოსკდესო და ხეობაში სიგრივე გაჭიმულ ტყიბულს, რომლის შენობე-

შიგნითაც საოცარი მოხატულობით გატყვევებს. ამასობაში შედამდა კიდეც. ონამდე არმისულებმა მარჯვნივ გადავხვიეთ და აღმართს ავუყვეით. აქ, მიუხედავად იმისა, რომ „ილიჩის“ ნათურები ანთია, გავიწყდება, რომ არსებობს ქალაქი თავისი გაჩირადნებული სიკაშკაშით, სანახაობებით, ხმაურითა და გამონაბოლქვით დამძიმებული ჰაერით. ცა უძიროდ ლურჯია და ღამით ვარსკვლავები ისე გილიმიან, თითქოს ერთი ხელის განვდენაზე იყვნენ. ეს სოფელი კვაშიებითა, ქართველი პოეტის მურმან ლებანიძის სამშობლო. ჯერ ქვემო უბანი ავიარეთ, მერე ზემო უბანში ავედით და ჩემთვის ამდენი ხნის ნანატრი მუხის დიდი სახლიც გამოჩნდა. ეს ის სახლია, რომელიც უკვე 12 წელია, მშობლიურ სახლს ურჩევნია ჩემს ქალიშვილს. როგორც კი დედაქალაქის მომქანცველი რეჟიმიდან თავის დასაღწევად რამოდენიმე დღეს გამონახავს, მაშინვე აქეთ მოუწევს გული. აქამდე მწყინდა და ვსაყვედურობდი, ახლა უკან მიმაქვს ჩემი სიტყვები. აქ ისეთი სიმშვიდე, სიჯანსაღე და სიალალეა გამეფებული, ნამდვილად ღირს აქ ყოფნა!

კვირას ნაავდრალმა ცამთერთი, ბამბისქულება ღრუბლები გადაიყარა და მზემ თავისი გულმხურვალეებით მოგვიალერსა. დრო საშურია. ერთ დღეში უნდა მაქსიმუმი მოვასწროთ. ნაჩქარევად ვისაუზმეთ და სოფელი შუკა-შუკა დავიარეთ, სოფლის ცენტრში ძველისძველ ეკლესიას ვესტუმრეთ, მოვილოცეთ, მერე მდინარე შაორზე ჩავედით და ბუნების უმშვენიერესი ხედებით და ხეობის სუფთა ჰაერით ვისიამოვნეთ.

ბული ტბის მყრალი ჰაერით დამძიმებულს, მზის მცხუნვარებითა თუ ადამიანის უტიფრობით და დაუდევრობით გადამწვარ-გადამწმარი მინდვრებისა და ქარსაფარების მაყურებელს აქაურობა ედემად მიჩვენება. აქ მავიწყდება გლობალური დათობაც და გაუდაბნოების რეალური საფრთხეც. აქ ვგრძნობ, რომ ხელუხლებელი ბუნება, მართლაც რომ, მბრძანებელია. პატარა კურორტიდან დიდი კურორტისკენ, შოვისკენ მივდივართ. ცამდე აზიდული შერეული ტყით დაფარული მთები მოქარგულს ჰგავს თავისი სიმეტრიული განლაგებებით. მათ გადაღმა კავკასიონის მყინვარები ილანდება. ცქერით ვერ ვძლები და ოცნებაში ვერ მოვიდგენ, რაოდენ ლამაზი იქნება აქაურობა გვიან შემოდგომაზე, როცა წინწარის მუქ-მწვანეში ფოთლოვანი ხეების ნითელყვითლად აელვარებული ფერები შეერევა. გზისპირებზე თავი ნამოუყვიათ სულ ნორჩ, ქორფა ნაძვის და ფიჭვის ბუნებრივი განახლებით აღ-



განუყოფადი ჩუქურთვაი ნოკორწინის გუმბათი


სტანდარტებს ნამდვილად აკმაყოფილებს და სიამოვნებას გვგვრის. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა: სურამის კვირაცხოვლობის ეკლესიაში მამა იოსებმა ნათლობის საიდუმლოს რიტუალი ჩაატარა. ჩემი სამთვენახევრის გიორგიც „ვაჟუკაცურად“ იქცეოდა. უფალო, შენს კალთას შეფარებული მამულის სასახელო ვაჟუკაცად გაზარდე ჩემი პატარა!

სურამიდან გეზი რაჭისკენ ავიღეთ. დიდი ხანია, ლეგენდები მესმის რაჭის ბუნების უნიკალურ სილამაზეზე და აი, მისი ნახვის ოცნება რეალობად მექცა. გაუდაბნოებული და გადამწვარ-გადახრიოკებული ჩვენი ველ-მინდვრების მერე ეს სიმწვანე, მართლაც, ედემია. ხაშურის გამაკებითა და საქანელებით გადაჭდილ გზისპირსა და შრომის თიხის ნაკეთობათა ბაზრობებს აღტაცებაში მოჰყავს მნახველი. ადამიანის ნახელავის

ბსაც, სამწუხაროდ, ისევ კომუნისტების დროინდელი მრუმე ფერები ამძიმებს, პირჯვარს სწერ, უფაღმა დაგიფაროსო. ნაქერლადან იწყება „რაჭა, ჩემი სიყვარული“. პირველი ნიკორწინდა შემოგვეგება. მართლაც და, რა ხელმა ააგო, რა ხელმა მოაჩუქურთმა ერთდოულად სინატიფის, ჰარმონიულობის და სიდიადის დამტევი ეს უფლის სახლი, რომელიც შიგნით თუ გარეთ ერთნაირად საინტერესოა. 1000 წლის ნიკორწინდამ უამრავ ქარტეხილს გაუძლო, მინისძვრებს გადაურჩა და რესტავრირებული და მთლიანობააღდგენილი დღეს ისევ ამაყად დგას წარსულის მემკვიდრედ და გვთავაზობს განუმეორებელ ფრესკებს, სასწაულ მოხატულობას..... შემდეგი გაჩერება 1753 წელს აგებული ბარაკონის ტაძარია. სიმწვანეში ჩაფლული ნატიფი ნიმუში ქართული საეკლესიო არქიტექტურისა,

კვირას ნაავდრალმა ცამთერთი, ბამბისქულება ღრუბლები გადაიყარა და მზემ თავისი გულმხურვალეებით მოგვიალერსა. დრო საშურია. ერთ დღეში უნდა მაქსიმუმი მოვასწროთ. ნაჩქარევად ვისაუზმეთ და სოფელი შუკა-შუკა დავიარეთ, სოფლის ცენტრში ძველისძველ ეკლესიას ვესტუმრეთ, მოვილოცეთ, მერე მდინარე შაორზე ჩავედით და ბუნების უმშვენიერესი ხედებით და ხეობის სუფთა ჰაერით ვისიამოვნეთ.

წინ კიდეც დიდი გზა გვაქვს. პირველი გაჩერება ონია. პატარა, კოპნია ქალაქი სიმწვანეში „იხრჩობა“. მდინარე რიონის და მისი შენაკადების ხმა ცენტრამდე აღწევს. აქ მუნიციპალური ქალაქისათვის საჭირო ყველა ორგანიზაცია-დანესებულება ფუნქციონირებს. ბაზრობა კი, ჩვენდა გასაოცრად, თურმე ხუთშაბათობით იმართება. გეზი უწერისკენ ავიღეთ. უწერა, კომუნისტების დროიდან დღემდე ერთ-ერთი გამორჩეული კურორტია, განთქმული თავისი ჰავითა და წყლებით, ზოგს რომ რკინის შემაღლებას და გენლობა აქვს, ზოგს — კალციუმის და, ვინ მოთვლის, რაღას არ კურნავს აქაური წყლები. გრაფიკით ორ დღეში ერთხელ ონკანში ძაფივით მოწანწკარე, ქლორით გაჟღერებული წყლის ლოდინით გულგანვრილესულს, უპატრონობით აყროლე-



ბარაკონის ტაძარი



მოცენებულ ნერგებს. ზოგი სულ ერთი ციცქნაა, ზოგსაც ტანი აუყრია და მზისკენ გზის გაკვლევას ლამობს. ეს გვაიმედებს, რომ ამ ტყეებს გადაშენება არ უწერიათ. ვუცქერი ამ თვალწარმტაც ბუნებას და ფიქრებს წარსულში გადავყავარ: — გასული საუკუნის 80-იანი წლებია, ჯაფარიძის №72 პროფსასწავლებლის კოლექტივთან ერთად ბზიფის ხეობით პატარა ათონის მღვიმეებისა და რინის ტბის მოსახლებულად მივდივართ. წინწარით დაფარული თვალმეუდგამი მთები თავზე მედიდურად დაგვყურებენ, მღვიმის სტალაგმიტები და სტალაგტიტები

კუმშება ტკივილისაგან. მერე აქეთ, დარილის ხეობის გზას მიუყვებით აღმართ-აღმართ. პირქუში კლდეები, ხევსურის ორღესული ხანჯალივით, შიშის ზარს მცემს, მაგრამ ამ სიმკაცრეში კლდეებს შუა გადმოხეთქილი თეთრი ჩანჩქერები ნუგუმს მაძლევენ, მყინვარწვერის ფონზე აღმართული გერგეთის წმინდა გიორგის ტაძარი და როკის გვირაბის ძირში, პატრიარქის ძალისხმევითა და ლოცვა-კურთხევით სულ ახლახანს დამთავრებული სამონასტრო კომპლექსი, რომელიც ჩრდილოეთიდან მოსალოდნელ საფრთხეს თითქოს დარაჯად დასდგომია,

კუმშება ტკივილისაგან. მერე აქეთ, დარილის ხეობის გზას მიუყვებით აღმართ-აღმართ. პირქუში კლდეები, ხევსურის ორღესული ხანჯალივით, შიშის ზარს მცემს, მაგრამ ამ სიმკაცრეში კლდეებს შუა გადმოხეთქილი თეთრი ჩანჩქერები ნუგუმს მაძლევენ, მყინვარწვერის ფონზე აღმართული გერგეთის წმინდა გიორგის ტაძარი და როკის გვირაბის ძირში, პატრიარქის ძალისხმევითა და ლოცვა-კურთხევით სულ ახლახანს დამთავრებული სამონასტრო კომპლექსი, რომელიც ჩრდილოეთიდან მოსალოდნელ საფრთხეს თითქოს დარაჯად დასდგომია,

(გაგრძელება გვ.8)

შოტლანდიელთა მთავარმა მწვრთნელმა მრავალი წლის შემდეგ ჩივამი ფოტოზე იცნო

4 სექტემბერს „დინამო არენას“ საპრესკონფერენციო დარბაზში შოტლანდიის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გორდონ სტრახანმა ურუნა-ლისტების შეკითხვებს უპასუხა. პრესკონფერენციის განმავლობაში სანამ თარჯიმანი კითხვა-პასუხებსთარგმნიდა, სტრახანი დარბაზში ჩამოკიდებულ ფოტოსურათებს ათვალიერებდა. შოტლანდიელი სპეციალისტის ყურადღება მიიქცია თბილისის „დინამოს“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების ქართველი ლეგენდების ფოტოებმა. დასასრულს



კი სტრახანმა იკითხა: „ეს ჩივამი არაა?“

გორდონ სტრახანმა იცნო ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს“ და მაშინდელი საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი. საქმე ისაა, რომ ესპანეთში 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრებმა 2:2 ეთამაშა შოტლანდიას. შესხვედრაში საბჭოელთაგან ორივე გოლი ქართველებმა, ალექსანდრე ჩივამემ და რამაზ შენგელიამ გაიტანეს.

გორდონ სტრახანმა ისაუბრა, რომ კარგად ახსოვდა ჩივამე, მისი თამაში და გატანილი გოლი.

შეგახსენებთ, რომ 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე სსრკ-ს 22-კაციანი ნაკრებში 4 ქართველი ფეხბურთელი ასპარეზობდა: ალექსანდრე ჩივამე, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია და რამაზ შენგელია.



„უბილეთო“ ლეგენდა

ფიფას რეიტინგში სამარცხვიანო, 153-ე ადგილისა და მომაკვდავი ქართული ფეხბურთის მემყურეთ გვსურს, კიდევ ერთხელ მოგიტოროთ მსოფლიოს ნამდვილი ვარსკვლავის შესახებ. იქნებ მისი ბიოგრაფია ვინმესთვის კვლავ იქცეს მთავრობად...

1980-იანი წლების ბოლოს თბილისის „დინამოს“ სტადიონს, სადაც ჩვენი უპირველესი გუნდის მორიგი თამაში უნდა გამართულიყო, შუატანის ქალარა მამაკაცი მიუახლოვდა. მილიციელებმა ბილეთი მოსთხოვეს. მან ჯიბეები მოისინჯა - სამეი მინ დარჩენოდა. უბილეთო კი კარში არ შეუშვეს,

განებიერებული არგენტინელები ქართველი გარემარბის ფინტებმა ისე გააოცა, რომ ტრიბუნებზე „მესხი, მესხის“ სკანდირება დაიწყო, თამაშის შემდეგ კი მაისური შემოახიეს და რელიკვიად დაინანილეს.

5 წლის შემდეგ სსრკ-ის ნაკრები „მარაკანას“ სტადიონზე მსოფლიოს ჩემპიონს, ბრაზილიის ეროვნულ გუნდს ხვდებოდა.

მეორე ტაიმის ერთ ეპიზოდში მესხის ზურგს უკან ერთ ალმოჩნდა. ქართველმა ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს ბურთს აჩერებდა, სინამდვილეში გაატარა და პელეს ფეხებზე გაუძვინდა.

მესხი. მოგვიანებით კარტოზია მსოფლიოს უძლიერესი მოჭიდავე გახდა, 11 წლის მიშამ კი ვარჯიშისას ხელი მოიტყა. ექიმმა აუკრძალა ჭიდაობა. გულდაწყვეტილი ბიჭი ეზოში მობურთავე თანაგობლებს შეუერთდა. იმ დღიდან ფეხბურთი მის ცხოვრებად იქცა.

ომის შემდგომი პერიოდის ქართველ ბიჭუნებს ბურთის მაგვირობას კონსერვის ცარიელი ქილა ან ძველმანებით გატყინილი ტომსიკა უნებდა. პატარა მიშა და მეზობლის ბიჭები თითქმის ნახევარი წელი ზოგადდენ ფუნთუშებზე, ნაყინსა თუ კინოს ბილეთზე ფულს. როგორც იქნა, ტყაყის ბურთი შეიძინეს. ეზოში ლამის მთელი ნაძალადევის ბიჭებს მოეყარათ თავი. ყველას უნდოდა, ერთხელ მაინც შეხებოდა საოცნებო ბურთს, მაგრამ სიხარულმა მხოლოდ რამდენიმე დღეს გასტანა. მერე ბურთმა მეზობლის ფანჯარა ჩაამსხვრია... განრისხებული ბინის პატრონი გამოვარდა და პატარების თვალწინ სამზარეულოს დანით ბურთი ნაკუნებად აქცია... ამ ამბავმა მიშა ისე შეაძრუნა, სიცოცხლის ბოლომდე ესიზმრებოდა თურმე.

13 წლის მიშა 35-ე საფეხბურთო სკოლაში ჩაირიცხა. 1955 წელს კი საქართველოს უძლიერეს გუნდში, თბილისის „დინამოში“ მიწვიეს. დილიდან საღამომდე ვარჯიშობდა. ილია დათუნამ-ვილა გვიამბო: „ბაზაში შორიდან დავინახე, რალაც უცნაურად მოძრაობდა. მივედი - მიშა პეპლებს დასდევს... ქათმებსაც დასდევდა. ასეთმა დევნამ ამოუცნობი ზიგზაგებით სირბილი ასწავლა, საოცარი ცრუმოძრაობები განუვითარა“.

18 წლის ჭაბუკის დებიუტი დიდ ფეხბურთში კივეში შედგა. მას შემდეგ სტადიონებზე, სადაც მესხი თამაშობდა, ბევრი მაყურებელი ტრიბუნებიდან ტრიბუნაზე ინაცვლებდა, მარცხენა გარემარბის თამაში და მისი ცნობილი ფინტი ახლოდან რომ ენახა. ამ ემპაქურ ილეთს, რომელიც მსოფლიოში „მესხის ფინტის“ სახელითაა ცნობილი, ასეთი ისტორია აქვს: 1956 წლის 6 ოქტომბერს თბილისის „დინამო“ სოფიაში ადგილობრივ გუნდს ხვდებოდა. ჩვენს მცველს, ვლადიმერ ელოშვილს სოფიელთა მარცხენა გარემარბმა რამდენჯერმე უცნაური ფინტი გაუკეთა — ბურთს ქუსლით ერთ მხარეს უგდებდა, თავად მეორე მხარეს გარბოდა და სანამ მისი მეურვე გონს მოეგებოდა, ბურთს დაენეწა. მიშამ ეს ილეთი კარგად დაიმასსოვრა, შემდეგ დიდხანს ხვებდა და მეტოქეების წინააღმდეგ მრავალი წელი იყენებდა. მესხის მეტოქეთა უმრავლესობას ეს ილეთი კარგად ჰქონდა შესწავლილი. ფინტის მოსაგვირგობლადაც საგანგებოდაც ემზადებოდნენ, თუმცა ქართველ

თავდამსხმელთან მაინც მოტყუებული რჩებოდნენ.

22 წლის მიშა საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიწვიეს, ერთი წლის შემდეგ კი კონტინენტის ჩემპიონობა მოიპოვა. ადგილობრივი თუ უცხოური პრესა მესხს ხოტბას ასხამდა. ევროპის საუკეთესო კლუბმა, მადრიდის „რეალმა“ საბჭოთა სპორტკომიტეტს ქართველ გარემარბში იმ დროისთვის გაუგონარი თანხა - ნახევარი მილიონი დოლარი შესთავაზა. მაყურებელი მზად იყო, მესხის თამაშის სანახავად ნებისმიერი თანხა გადაეხადა, ამ დროს კი თავად ფეხბურთელი სიცოცხლის ბოლომდე ხელმოკლედ ცხოვრობდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ ფეხბურთში უდიდეს ნარმატებას მიაღწია, არ გამედიდურებულა. ოჯახის ნევრთა თქმით, ის საოცრად კეთილი იყო: ერთხელ თავარა მზეში მდგომი ნაყინით მოვაჭყე მოხუცი დაინახა. მიშამ მისგან მთელი ყუთი ნაყინი იყიდა და ბავშვებს დაურიგა... ფილმების ნახვისას კი ხშირად გული უჩუყდებოდა და ცრემლი მოერეოდა ხოლმე.

მაყურებელი მზად იყო, მესხის თამაშის სანახავად ნებისმიერი თანხა გადაეხადა, ამ დროს კი თავად ფეხბურთელი სიცოცხლის ბოლომდე ხელმოკლედ ცხოვრობდა. დიდი ფეხბურთიდან ნასვლის შემდეგ მალალ თანამდებობებს სთავაზობდნენ, მაგრამ მან ბავშვთა საფეხბურთო ბაზაში მწვრთნელობა არჩია, სახლი კი მეგობრებმა აუშენეს სოფელ დილოში.

1963 წელს, ფეხბურთის 100 წლისთავთან დაკავშირებით, „საუკუნის მატჩად“ მონათლული შეხვედრა შედგა. მსოფლიოს ნაკრები ფეხბურთის სამშობლოს - ინგლისის ეროვნულ გუნდს ხვდებოდა. სათამაშოდ სუპერვარსკვლავები მიწვიეს: დი სტეფანო, პუშკაში, ზეველი, შნელინგერი, ეუსებიო, გარინჩა, პელე და მიხელი მესხი, მაგრამ საკავშირო სპორტკომიტეტმა ქართველი მსოფლიო ნაკრებში სათამაშოდ არ გაუშვა. გავიდა 3 წელი. 1966 წელს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატს ინგლისი მასპინძლობდა. ფეხბურთის მილიონობით გულშემატყვიარი ელოდა, რომ ქართველ

თავდამსხმელი ნისლიან ალბონსაც მოხიბლავდა, თუმცა საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელობამ მესხი ინგლისში კვლავ არ წაიყვანა. ამას დაერთო ისიც, რომ მიშა საქართველოს სპორტკომიტეტის ხელმძღვანელმა ათივალენუნა და 1969 წელს მიხელი მესხი იძულებული გახდა, დიდი ფეხბურთიდან ნასულიყო.

იმხანად თბილისს ურუგვაის ჩემპიონი და სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი, მონტევიდეოს „ნასიონალი“ ესტუმრა, რომელსაც სახელგანთქმული მორეირა წვრთნიდა. გადანყდა, რომ თბილისის „დინამოს“ რიგებში თავის უკანასკნელ მატჩს მიშა სწორედ „ნასიონალის“ წინააღმდეგ გამართავდა. საქართველოს სპორტკომიტეტის მესვეურებმა მესხი მხოლოდ პირველ ტაიმში გამოიყვანეს...

„დინამოს“ გარემარბი იმ თამაშშიც ბრწყინავდა. ორი ურუგვაელი მცველი მას მუდმივად მიუერვებოდა, მაგრამ მესხი მაინც



- შენაირებს სტადიონზე რა ესაქმებაო. უხმოდ მებრუნდა და წავიდა. ის კაცი მიხელი მესხი იყო...

1960 წელს თბილისი მსოფლიოს ჩემპიონი ქვეყნის, ბრაზილიის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბს, „ბაიას“ მასპინძლობდა. სტუმართა გუნდში ეროვნული ნაკრების რამდენიმე წევრი, მათ შორის ცნობილი ჯალმა სანტოსი თამაშობდა. სამხრეთამერიკელები არ მალავდნენ, რომ მხოლოდ გამარჯვება სურდათ და თანაც დიდი ანგარიშით, მაგრამ... „დინამომ“ „ბაიას“ ოთხი უპასუხო ბურთი გაუტანა.

ავისიტოს იმ ცხელ საღამოს მესხმა დიდებული წარმოდგენა გამართა და მსოფლიოს ჩემპიონებს ტექნიკური ფეხბურთის გაკვეთილი ჩაუტარა. ერთ ეპიზოდში, როცა მიშა რამდენიმე მონინალმდევს გაექცა, მაყურებელი უცნაური სანახაობის მომსწრე გახდა: მესხს მისი ფინტებით აღფრთოვანებული ჯალმა სანტოსი მიუახლოვდა, მოეხვია და გადაკოცნა. იმავე წელს მიხელი მესხმა, სსრკ-ის ნაკრების შემადგენლობაში, ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მალე ნაკრები სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრა. მესხს ბუენოს-აირესში, 120 ათასი მაყურებელი გაჟღერდა სტადიონზე, არგენტინის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ მოუხდა თამაში. ტექნიკური ფეხბურთით

„ფეხბურთის მეფე“ შეცბა, შემდეგ ახარხარდა, მეტოქეს წამოენია, ზურგზე შეახტა და კოცნა დაუნყო...

თამაშის შემდეგ გასახდელში აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის, ჯონ კენედის ძმა, სენატორი რობერტ კენედი შევიდა და მესხს სამახსოვრო ფოტოს გადაეღება სთხოვა. მას შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა, მაგრამ მიშას თამაში სამხრეთ ამერიკაში ბევრს დღემდე ახსოვს. პოლიტიკოსმა ლევან ბერძენიძემ გვიამბო:

„ქართველთა ჯგუფს „მარაკანას“ სტადიონზე ეგზალტირებულმა ბრაზილიელმა გულშემატყვიარმა შემოგვიტია - არ ვიცით, საიდან ხართ, ეს ჩვენი ტრიბუნაა, ნათრეიეთი. უვითარება უკიდურესად დაიძაბა. ხან სტალინი ვახსენეთ, ხან შევარდნამე, მაგრამ არაფერმა გაჭრა. მერე ვთქვი, მესხი-მეთქი და ბრბოც წამში დამშვიდდა. ყველა უცებ მეგობრად იქცა. ზოგს მიშა თავად ჰყავდა ნახაბი, ზოგმაც გადმოცემით იცოდა. ერთი სიტყვით, ბრაზილიაში მსხნელი სიტყვა არის მესხი!“

მიხელი მესხი 1937 წლის 12 იანვარს თბილისში დაიბადა. ბავშვობაში მოჭიდავეობაზე ოცნებობდა და კლასიკური ჭიდაობის წრეზეც დადიოდა. მწვრთნელებს ორი გამორჩეული ფალავანი ჰყოლიათ - გივი კარტოზია და მიხელი



ახერხებდა დასხლტომას.

ტიამი დასრულდა. დინამოელებმა მიშა მხარზე შეისვეს და ტრიბუნების გასწვრივ ჩაატარეს. მორეირას უკითხავს, - რა ხდება, ამ კაცს აცილებთ? კიო. მსოფლიო ჩემპიონი გაოგნებულია, - ამას უშვებთ და დანარჩენებს ტოვებთ?

იმ საღამოს სტადიონზე მაყურებლის დიდი ნაწილი ტიროდა... საორტული ზეიმი პანაშვიდს დაემსგავსა...

2000 წელს საქართველოში ჩატარებული გამოკითხვით მიხელი მესხს მიენიჭა განსაკუთრებული პრიზი - „XX საუკუნის ქართველი ხალხის სიყვარული“...

მუნიციპალური ბიბლიოთეკის ყოფილი და ახლანდელი თანამშრომლები თანაგრძობას უცხადებენ ლილი მნათობიშვილს მეუღლის ბივი ლაზარაშვილის გარდაცვალების გამო.

ნინელი, ლილი ბენაშვილები, თამაზი პაპაშვილი ოჯახებით იუნყებიან ჯუშუბარი ივანეს ძე ბენაშვილის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

„საქპრესის“ დედოფლისწყაროს ფილიალის თანამშრომლები: ლელა ყოჩიაშვილი, მარინა ფიროსმანაშვილი, ნაირა გომელაური, მაია ჯანიაშვილი, ქეთევან ალუღიშვილი თანაგრძობას უცხადებენ მაყვალა მანგოშვილს მეუღლის სარაღონ მანგოშვილის გარდაცვალების გამო.

რა ლამაზი ხარ, მამულო!..

(მეექვსე გვერდიდან)

მამიდებენ, ნუ გეშინია, ღვთისმშობელი არ გასწირავსო თავის წილხვედრ ედემს.



სტუმარ-მასწინებლები

რეალობას ვუბრუნდები, ისევ რაჭის მოალერსე, რბილ და თბილ ბუნებას შევხარი და გულში ვყვირი: "რა ლამაზი ხარ, მამულო, შენი გამჩენის ჭირიმე!"

შოვიდან უკან მობრუნებულეებს უნერაში საკუთარ აგარაკზე, რომელიც საოცრად ლამაზად ერწყმის სიმწვანესა და პიტალო კლდის ქანებსაც, ყველასათვის საყვარელი მომღერლის, ქართული ხმების სოლისტის - დავით არჩვაძის მშობლებმა ქალბატონმა თამარმა და ბატონმა გოჩამ ჩვეული გულწრფელობით და სიყვარულით გვიმასპინძლეს შემდეგ თბილისისკენ ავიღეთ გეზი.

ამ წერილის წაკითხვისას ჩვენი მკითხველებიდან რომელიმე მაინც იფიქრებს: - რა დროს ბუნებაა, ქალბატონო, რა დროს რომანტიზმი და ოცნებებია, შიმშილით

რიცხვიდან რაჭა თბილისიდან მამა-პაპის ნაფუძვარზე დასასვენებლად ჩამოსასული ხალხისგან დაიცლება და თითო სოფელში ოთხი-ხუთი ოჯახილა თუ დარჩება.

ერთ დროს 150-კომლიანი კვაშხეთიდან შაორისა და შაორის წყალსადგავის სილამაზეს რამდენიმე ხანდაზმულია გახედავს და გულდარცხმული მოგონებებით იარსებებს. უმუშევრობა და მსგავსი პრობლემები იქაც არის, მაგრამ მე

მინდოდა, ცოტა ხნით დაგვევიწყებინა ყოფითი პრობლემები და დედაბუნების ნიაღში გავნებივრებულიყავით.

ნაირა გორაშვილი



ვაზის ფესვები

ვუძღვნი საზღვრისპირა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ცნობილ მეღვინეს, „მეტრის“ ნომინანტს, საქართველოს აკადემიის საპატიო აკადემიკოს ბატონ გოდერძი გონაშვილს დაბადებიდან 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

უფლის ნაჟურთია ვაზის ფესვები, ტამარს შემოწვნი უკვდავი ხელებით. ღვთის თვალი ტრიალებს, იღვრება ქარვა, მზიანი მტევნები ააჯსებს მარანს, ეღმეი უჭკნობია მესვერე დიღია ვაზის გამრავლება მაშადმერთს უხარია.

პოეტი ანა პირსთავი.

ულოცავენ!

ავთანდილ ხუბარაშვილს!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის თანამშრომლები ვულოცავთ დირექტორს - ავთანდილ ხუბარაშვილს შვილიშვილის ანასტასიას დაბადებას.

ახალშობილს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და უფლის წყალობას.

ლელა ბილიაშვილს!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის თანამშრომლები ვულოცავთ ლელა ბილიაშვილს შვილიშვილის მარიამის დაბადებას.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ყოველივე კარგს ცხოვრებაში და უფლის წყალობას.

ირინა ფოსხაერაშვილს!

გილოცავთ შვილების, ნინოს და ლევანის ბედნიერებას. ახალდაქორწინებულებს ვუსურვებთ სიყვარულით და ურთიერთგაგებით ეზიდოთ მეუღლეობის ტვირთი. გამრავლდნენ, გაიხარონ და უფლის წყალობა არ მოაკლდეთ.

პატივისცემით, სოფელ ოხანის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

თამარ ჯანყარაშვილს!

ლალი ჯინიაშვილს!

გილოცავთ ოჯახის შექმნას, გულწრფელად გვიხარია თქვენს ცხოვრებაში განხორციელებული ეს სახლე. გისურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს. იყავით ბედნიერები, გამრავლდით და გაიხარეთ. უფალი გვარავდეთ.

სიყვარულით, ნაირა გორაშვილი, ზურაბი, მაგდა, ნატალი, გიორგი პოპიაშვილები, ირაკლი და ნია მელაშვილები.

ყურადღება!

თუ თვლით, რომ თქვენი უფლება ირღვევა ან სადაოდ იქნა ცნობილი სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ნებისმიერი ორგანოს მხრიდან, ან ადგილი აქვს თქვენს ან თქვენი ოჯახის წევრის მიმართ ძალადობის ან დისკრიმინაციის რაიმე ფაქტს, უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს სახალხო დამცველს,

როგორც პირადად, ასევე სახალხო დამცველის საკონტაქტო პირის მეშვეობით. სახალხო დამცველის საკონტაქტო პირი: კახე თში(დედოფლისწყარო, ლაგოდეხი, სიღნაღი) ეკა გოგაშვილი. ტელ: 598 27 71 74;

ელ-ფოსტა: ekagogashvili@gmail.com

ყურადღება!

საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“-ს დედოფლისწყაროს განყოფილება 2015--2016 სასწავლო წლისთვის რეაბილიტირებული და განახლებული კაბინეტ-ლაბორატორიებით აღჭურვილ სასწავლებელში აცხადებს სტუდენტთა მიღებას 2015 წლის 1 სექტემბრიდან უფასო სწავლებით შემდეგ სპეციალობებზე: 1. ექთნის თანამშრომელი /სწავლების ვადა 14 თვე/. 2. თექის ხელოსანი /სწავლების ვადა 8 თვე/. 3. ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი /სწავლების ვადა 9,5 თვე/. 4. ელექტრიკოსი /სწავლების ვადა 9,5 თვე/. 5. ტრაქტორისტ-მემანქანე /სწავლების ვადა 6,5/. 6. კალატონი /სწავლების ვადა 6,5/.

ფასიანი სწავლება შემდეგ სპეციალობაზე: „B“ კატეგორიის ავტომობილის მძღოლი-სწავლების ვადა-2,5 თვე/ 80 ლარი „B“ კატეგორიის ავტომობილის მძღოლი-სწავლების ვადა-2,5 თვე/ 80 ლარი ნარსადგენი დოკუმენტების ნუსხა: 1.2 ფოტოსურათი (3X4) 2. პირადობის მოწმობის ასლი 3. განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი 4. განცხადება (ადგილზე შევსებით) დანვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: ტელ: 597 19 22 32, 599 41 91 17 მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, სოფელი სამრეკლო (სოფ. ჯაფარიძე)

ა მ ი ნ დ ი		დ ე დ ო ფ ლ ი ს		ს ე ყ ა რ ო	
ორშაბათი 07.09	სამშაბათი 08.09	ოთხშაბათი 09.09	ხუთშაბათი 10.09	პარასკევი 11.09	შაბათი 12.09
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
24°	22°	24°	23°	25°	23°
24°	23°	25°	23°	26°	24°
24°	23°	25°	23°	24°	23°
24°	21°	22°	21°	24°	21°

გამომცემელი შპს „შირაჰი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.	სარედაქციო კოლეჯი: ლალი მისერიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ყურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მწერელი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქანაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა). გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაჰის“ კომპიუტერულ პაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს. „სამშობლოს“ სტამბაში.	რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
--	---	---	---